საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, ვაზისუბნის IV მ/რ, პატარიძის ქუჩის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი 01.17.07.024.031) ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

საექსპერტიზოდ წარმოდგენილია ქ. თბილისში, პატარიძის ქუჩის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი 01.17.07.024.031), ასაშენებელი მრავალფუნქციური შენობის, პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევის შედეგები, შენობის მზიდი კონსტრუქციის, როგორც ერთიანი ღეროვან-ფირფიტოვანი სივრცული სისტემის გაანგარიშება და აგრეთვე პროექტის არქიტექტურული ნაწილი.

ქალაქის სეისმური დარაიონების რუკის მიხედვით სამშენებლო მოედანი განეკუთვნება 8 ბალიან ზონას, ქარის ნორმატიული დაწოლა - 85 კგ/მ^2. თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 50კგ/მ^2.

საპროექტო შენობა ცხრამეტსართულიანია გეგმაში მართკუთხა მოხაზულობის, ზომებით 30.90X16.20 მ. (ღერძებში). რომელთაგან ორი განკუთვნილია მიწისქვეშა ავტოსადგომისთვის.

პროექტის მიხედვით ცხრამეტსართულიანი შენობა 120 სმ. სისქის საძირკვლის ფილის საშუალებით ეფუძნება თიხნარ გრუნტს – ფენა №2 (სგე I) რომლის პირობიტი საანგარიშო წინაღობა წყალგაჯერებულ მდგომარეობაში არის R$_0$ = 2.5 კგძ/სმ^2, სიმკვრივე 1.93, პუასონის კოეფიციენტი μ = 0.35, სამშენებლო მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევა ჩატარებულია შპს "თბილინვესტპროექტის"-ის მიერ.

სამშენებლო ტერიტორია უმნიშვნელოდ დამრეცია, ქვაბულის ფერდები ბუნებრივი ქანობებითაა გათვალისწინებული და შესაბამისად არ ითხოვს დამატებით გამაგრება-გაძლიერებებს.

კონსტრუქციული თვალსაზრისით შენობა ხისტკვანძებიან მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშირებიან სისტემას წარმოადგენს. მონოლითური რკინაბეტონის სვეტების კვეთები ცვლადია შენობის მთლიან სიმაღლეზე. სართულშუა გადახურვები ხორციელდება მონოლითური რკინაბეტონის 150 მმ-იანი სისქეების რიგელიანი ფილებით. მონოლითური რკინაბეტონისაა აგრეთვე ყველა კიბის კონსტრუქცია. შენობას სეისმიური დატვირთვების მისაღებად გააჩნია მძლავრი რკინაბეტონის დიაფრაგმები, რომლებიც ძირითადად განლაგებული არიან სიმეტრიულად. გარე კედლები (კარკასის შევსება) და ტიხრები გათვალისწინებულია მსუბუქი ბეტონის ბლოკებისაგან.

შენობის გაანგარიშება შესრულებულია სასრულ ელემენტთა მეთოდით, ЛИРА-САПР 2013 R3-ის გამოყენებით, სამშენებლო ნორმები და წესები "სეისმომედეგი მშენებლობა" (პნ 01.01–09) გათვალისწინებით.

შენობის მზიდი ელემენტების კონსტრუირებას საფუძვლად უდევს მისი, როგორც ერთიანი ღეროვან-ფირფიტოვანი სივრცული სისტემის გაანგარიშების შედეგები მუდმივ და დროებით ხანმოკლე ვერტიკალურ დატვირთვებზე, ჰორიზონტალურ სეისმურ ზემოქმედებაზე და მათ საანგარიშო თანწყობაზე. საანგარიშო სქემაში საძირკვლის ფუძის გრუნტების მუშაობა ჰორიზონტალური მიმართულებით გათვალისწინებულია დრეკადი ბმების გათვალისწინებით. შენობის საანგარიშო მოდელი დაპროექტებისათვის მისაღები სიზუსტით შესაძლოდ სრულად აღწერს ნაგებობის მუშაობის სურათს.

უნდა აღინიშნოს საექსპერტიზოდ წარმოდგენილი პროექტის კონსტრუქციული ნაწილის შესრულების მაღალი დონე, როგორც შინაარსობრივად, ასევე გაფორმებით. პროექტით გადმოცემული ინფორმაცია არის სრული და ადვილად აღსაქმელი. მუშა ნახაზებში მოცემულია შენობის ჩონჩხედის ელემენტების სქემები; კონსტრუქციების დაარმატურებები; დამახასიათებელი დეტალები და კვანძები; მოყვანილია გამოყენებული მასალების სპეციფიკაციები. ამდენად, დამპროეტებელ კონსტრუქტორთა მიერ ხორციელდება ცნობილი კონსტრუქციული გადაწყვეტების მისადაგება-მორგება არქიტექტურულ-გეგმარებით გადაწყვეტებთან, ადგილობრივ მეტეოროლოგიურ, გეოლოგიურ და სეისმოლოგიურ პირობებთან.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის ექსპერტიზის ჩატარების პროცესში პროექტის ავტორის მიერ გათვალისწინებული იყო ექსპერტის შენიშვნები და სათანადო კორექტივები შეტანილი იყო პროექტში.

დასკვნა

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ქ. თბილისში, ვაზისუბნის IV მ/რ, პატარიძის ქუჩის მიმდებარედ, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდით 01.17.07.024.031-ში ასაშენებელი მრავალფუნქციური შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს ეძლევა დადებითი შეფასება და ეძლევა რეკომენდაცია დასამტკიცებლად.

ექსპერტი,

ინჟინერ-კონსტრუქტორი შალვა მდინარაძე

Sako.mdinaradze@gmail.com

557 270 270

12.11.2017 წ.

სახელი -გვარი – შალვა მდინარაძე

* სპეციალობა/თანამდებობა - კონსტრუქტორი

* დაბადების თარიღი - 29.12.1984

* დაბადების ადგილი - ქ. ხაშური

* ელ-ფოსტა - sh.mdinaradze@cubicon.ge

* განათლება

2002-2006 წ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტი, სპეციალობით მშენებლობის კომპიუტერული დაპროექტების სისტემები.

დიპლომი – ბაკალავრის სრული კურსი მშენებლობის კომპიუტერული დაპროექტების სისტემების სპეციალობით ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და სისტემოტექნიკოსის კვალიფიკაცია.

2006-2008 წ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრის აკადემიური ხარისხი

დიპლომი – ინფორმაციული ტექნოლოგიები მშენებლობაში.

* საცხოვრებელი ადგილი - ქ. თბილისი, 0154, რიონჰესის ქუჩა. №73

* საკონტაქტო ნომერი მობ: (+995) 557 270 270

* სამუშაო გამოცდილება:

2006 - 2007 - შ.პ.ს. «არტსტუდიო პროექტი" არქიტექტურული სტუდია. კონსტრუქტორი.

2007 – დღემდე - შ.პ.ს. «მონოლითი" საკონსტრუქტორო სტუდია. კონსტრუქტორი.

05.2014 - 2015 წ-მდე - შ.პ.ს. «არტსტუდიო პროექტი" არქიტექტურული სტუდია. კონსტრუქტორი.

04.2015 წ-დან- დღემდე - „შპს. კუბიკონი". კონსტრუქტორი

* ენები: ქართული (მშობლიური)

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

DIPLOMA

STU № 005198

This is to certify that Mr./Ms. Shalva
Name, Surname
Mdinaradze

was enrolled in 2002 in Georgian Technical University and in 2006

completed the requirements of Faculty of

Civil Engineering

Bachelor's Degree of the University

with major in Computer Aided Design Systems in Construction

By the decision of the State Qualification Commission, September
Month, Day, Year
25, 2006. Mr. Shalva Mdinaradze
Name, Surname

was awarded the Academic Degree of

Bachelor of Computer Engineering

Seal

Rector

Dean

City: Tbilisi

Registration # 05672

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დიპლომი

STU № 005198

ეძლევა შალვა მდინარაძეს

მასზედ, რომ იგი 2002 წელს ჩაირიცხა და 2006

წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სამშენებლო

ფაკულტეტის

ბაკალავრიატის სრული კურსი მშენებლობის კომპიუტერული დაპროექტების სისტემების

სპეციალობით

საკვალიფიკაციო კომისიის 2006 25. 9 (წელი, რიცხვი, თვე) გადაწყვეტილებით

შალვა მდინარაძეს მიენიჭა

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და სისტემოტექნიკოსის

კვალიფიკაცია

ბ.ა.

რექტორი

დეკანი

ქალაქი თბილისი

სარეგისტრაციო ნომერი 05672

GEORGIA

TECHNICAL UNIVERSITY OF GEORGIA

MASTER'S

DIPLOMA

M № 001807

By decision N 3 June 19, 2008 .

of the faculty of Civil Engineering

Mr. Shalva Mdinaradze

was awarded the Degree of Master of Sciences in Information Technologies for Conctruction

რეგისტრაციის N Registration 01353

თბილისი Tbilisi 15 რიცხვი/day 7 თვე/month 2011 წელი/year

საქართველო

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მაგისტრის

დიპლომი

M № 001807

სამშენებლო

ფაკულტეტის 2008 წლის 19. 6 № 3

გადაწყვეტილებით შალვა მდინარაძეს

მიენიჭა მეცნიერების

მაგისტრის აკადემიური ხარისხი

ინფორმაციული ტექნოლოგიები მშენებლობაში

სპეციალობით.

დეკანი Dean ზურაბ გედენიძე Zurab Gedenidze

რექტორი Rector არჩილ ფრანგიშვილი Archil Prangishvili

ბ.ა. Seal